ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 1-170-22

ქ.თბილისი **27 ივლისი, 2022წ.**

შესყიდვა ხორციელდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, 2022 წლის 18 ივლისის № 2354 განკარგულების შესაბამისად (SMP220002048)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო, ერთის მხრივ, **სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო** (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ აზნაურაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს თაუერ ჰოლდინგი** (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ნიჟარაძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოს შესრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია: **მესტიის მუნიციპალიტეტის, უშგულის თემის, სოფელ ჩაჟაში მდებარე, მაცხოვრის ტაძრის გალავნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები (CPV კოდი 45454100),** რომელიც განისაზღვრება სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. შესყიდვის საპროექტო დოკუმენტაცია და ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი 1 და დანართი 2).

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **7015,26 (შვიდი ათას თხუთმეტი ლარი და 26 თეთრი)** ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1. სამუშაოს შესრულების ადგილია - **მესტიის მუნიციპალიტეტი, უშგულის თემი, სოფელ ჩაჟაში მდებარე, მაცხოვრის ტაძრის ტერიტორია.**

4.2. შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშის ჩაბარების საბოლოო ვადაა **ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღე.**

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს შესრულებული სამუშაოს პერიოდული ინსპექტირება.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

5.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში.

5.5. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

5.6. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.7. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

5.8. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ მონიტორინგის სამსახური.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველს სამუშაოთა საბოლოო დასრულების შესახებ.

6.2. წარმოდგენილი პირობებისა და ვადების ფარგლებში მიმწოდებელმა საბოლოო პროდუქციის სახით შემსყიდველს უნდა გადასცეს შესრულებული სამუშაოები, შესრულებული სამუშაოების ანგარიში (საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” მოთხოვნათა შესაბამისად), შესრულებული სამუშაოების აქტები (ფორმა 2).

6.3. ფარული სამუშაოების წარმოებისას (არსებობის შემთახვეხაში) მიმწოდებელი ვალდებულია შეადგინოს ფარული სამუშაოების დამადასტურებელი წერილობითი აქტები. ფარული სამუშაოები წარმოებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების 5.8 მუხლით განსაზღვრულ ინსპექტირების განმახორციელებელ პირ(ებ)თან ერთად.

6.4. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს სრულყოფილებას, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის დღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6.5. სამუშაოების საბოლოო დასრულების შემდგომ ხელშეკრულების 5.8 მუხლში აღნიშნული პირების მიერ შემოწმების შედეგად შედგება შესაბამისი დასკვნა.

6.6. თუ შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი, დადგენილი წესის შესაბამისად, მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს შესაბამის აქტს.

6.7. მიმწოდებელი ვალდებულია წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შესახებ შესაბამისი აქტის გაფორმებისა და შეტყობინების მიღებიდან უმოკლეს ვადაში აღმოფხვრას ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი დეფექტები.

6.8. თუ შემსყიდველმა სამუშაოები შეაფასა წუნით, სამუშაოები დასრულებულად ჩაითვლება დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.

6.9. შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 5.8 მუხლში მითითებული პირები).

6.10. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ **2022 წლის ბიუჯეტის (პროგრამა) სახსრებით.**

7.2. გადახდის ფორმა – უნაღდო.

7.3. შესრულებული სამუშაოს ანგარიშსწორება განხორციელდება ერთ ეტაპად, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის, ინსპექტირების ჯგუფის დადებითი დასკვნის, საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, ყველა ამ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.4. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხაზე ნაკლები, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეულის ფასების შესაბამისად.

7.5. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

8. ფასები

8.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული შესყიდვის ობიექტის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

8.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

8.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

9.2. შემსყიდველი ვალდებულია:

9.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

9.2.2. გასცეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვა სამუშაოების წარმოებაზე სანებართვო მოსაკრებლის წარდგენის შემდეგ კანონით დადგენილი წესით.

9.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების პროცესში აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

9.2.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

9.2.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

9.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

9.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
9.3.2. განახორციელოს კონტროლი სამუშაოების წარმოებისას.
9.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
9.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
9.4.2. ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, სამუშაოების დაწყებამდე გადაიხადოს სანებართვო მოსაკრებელი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის მისაღებად 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და აიღოს შესაბამისი ნებართვა, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.4.3. დაიცვას ხელშეკრულების მე-18 პუქტით გათვალისწინებული უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მოთხოვნები.
9.4.4. შეტყობინების მიღებიდან აღმოფხვრას დეფექტი შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
9.4.5. სამუშაოების დასრულების შემდეგ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (დეფექტი ნაკლოვანებები) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.
9.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
9.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მ.შ. მიმწოდებლის მხრიდან სამუშაოს შესრულების ვადის გაზრდის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია **სამუშაოს შესრულების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.**
10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.
11.2. ქვეკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ქვეკონტრაქტორის აყვანის შესახებ.
11.3. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს ქვეკონტრაქტორს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის თანხმობის გარეშე
11.4. ქვეკონტრაქტორი კომპანია არ უნდა იყოს რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში – „შავი სია“.
11.5. შემსყიდველის თანხმობის გარეშე ქვეკონტაქტორის აყვანის შემთხვევაში, იგი უფლებამოსილია მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს ჯარიმის სახით პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის 0,2 %-ის ოდენობით. ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში აღნიშნული საჯარიმო სანქცია გავრცელდება მთელი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში (სამუშაოს მიღება-ჩაბარებიდან 5 წელი).
11.6. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველის თანხმობის შემთხვევაში, ქვექონტრაქტორს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების არაუმეტეს 40%-ისა.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების, ან შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით იმისდა მიხედვით მთლიანად არის ვალდებულება შეუსრულებელი თუ ნაწილობრივ;
12.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის (მ.შ. გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვადების ჩამორჩენის, ვადის გადაცილების) გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
12.3. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
12.4. ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისას ინსპექტირების ჯგუფის მიერ წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შემთხვევაში, საჯარიმო სანქციების ათვლა მოხდება ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ვადის ამოწურვის მეორე დღიდან.
12.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
13.4. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
13.4.1. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
13.4.2. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
13.4.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
13.5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.
13.6. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი (მ.შ. გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვადების ჩამორჩენის, ვადის გადაცილების) აღემატება 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეს.

14. ფორს-მაჟორი
14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა
15.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
15.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. გამოყენებული სამართალი
16.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. შეტყობინება
17.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის (მატერიალური ან ელექტრონული) სახით გზავნილის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე/ელ.ფოსტაზე.
17.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გადასახადები და დაბეგვრა
18.1. უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.
18.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

19. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა
19.1. მიმწოდებელმა სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმებისა და წესების დაცვით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად; მიიღოს შესაბამისი ზომები, რაც უზრუნველყოფს გარემოს, ისტორიული ძეგლის ქონების და სამუშაოებში მონაწილე ყველა პირთა უსაფრთხოებას. სამუშაოების წარმოებისას, სამშენებლო მოედანი პერიოდულად უნდა გაიწმინდოს სამშენებლო ნარჩენებისა და ნაგვისგან, რათა არ მოხდეს გარემოს დაბინძურება. სამუშაოების

დასრულების შემდეგ კი უნდა მოხდეს ტერიტორიის სრული დასუფთავება. სამუშაოები განახორციელოს საქართველოს მთავრობის 2007წ. 28 მარტის № 62 დადგენილების „მშენებლობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.

19.2. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და მიიღოს ყველა საჭირო და პროპორციული ზომა, რათა უზრუნველყოს მისი დასაქმებულების შრომის უსაფრთხოება შემსყიდველის სამუშაო სივრცეში. სამუშაოების წარმოებისას სრულად დაიცვას საქართველოში კორონა ვირუსის „COVID-19“-ის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებული მოქმედი მარეგულირებელი და ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრული მოთხოვნები/პროტოკოლი.

19.3. მიმწოდებლის დასაქმებული ვალდებულებია შემსყიდველის სამუშაო სივრცეში დაიცვას შემსყიდველის შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტებით დადგენილი მოთხოვნები და მისი მითითებები/ინსტრუქციები, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი თავისუფლდება ყველანაირი პასუხისმგებლობისგან.

19.4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების, მუშაოებით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენის მინიმუმადე დაყვანა.

19.5. მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

19.6. უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ნორმათა დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე დაეკისრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა.

19.7. ჯარიმის გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს დარღვევის აღმოფხვრისაგან.

20. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

20.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, **2022 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით** გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 9.4.5. პუნქტისა.

21. სხვა პირობები

21.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

21.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

21.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონული ფორმატით, რომლის ამონაბეჭდი არის ელექტრონული დოკუმენტის ასლი და მას ელექტრონული დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ელექრონული დოკუმენტი ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

21.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ელექტრონული ფორმატით ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

22. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო”	**შპს თაუერ ჰოლდინგი**
მისამართი: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #7	მის: სვანეთი, მესტიის რაიონი, სოფელი უშგული
ელ.ფოსტა: info@heritagesites.ge	ელ.ფოსტა: gnizhara@gmail.com
სახელმწიფო ხაზინა;	ტელ: 568 005 004
კოდი: TRESGE22	საბანკო რეკვიზიტები:
ა/ა # GE24NB0330100200165022	ბანკი საქართველოს ბანკი
სახაზინო კოდი - 707617111	კოდი: BAGAGE22
ს/კოდი: 204562311	ა/ა # GE04BG0000000526045415
	ს/კოდი: 435895676
გენერალური დირექტორი	**დირექტორი**
ნიკოლოზ აზნაურაშვილი	გიორგი ნიჟარაძე
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia Digitally signed by National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia Date: 2022.07.27 17:45:47 +04'00'	Giorgi Nizharadze 62001042701 Digitally signed by Giorgi Nizharadze Date: 2022.07.27 17:44:38

<u>ხელშეკრულება ხელმოწერილია მხარეთა მიერ ელექტრონული ფორმით</u>

სოფ. ჩაჟაში, მაცხოვრის ეკლესიის გალავნის რეაბილიტაცია

/მშენებლობის დასახელება/

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა №3

სარეაბილიტაციო სამუშაოები

/ობიექტის, სამუშაოს და დანახარჯების დასახელება/

საფუძველი: პროექტი

შედგენილია 2022წ. IIკვ. მიმდინარე დონეზე

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება **7015.28** ლარი

მათ შორის ხელფასი **3679.56** ლარი

№	საფუძველ	ს ა მ უ შ ა ო ს დასახელება	ნორმატიული რესურსი			ხელფასი		მასალა		სამშენებლო მექანიზმები		ჯამი
			განზ.	ერთეულზ	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1	ЕРиРВ-86 2-1; 2-38გამ	**გალავნის გადაწყობა**	**კუბ.მ.**		**3.200**							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	32.540	104.127	8.50	885.08					885.08
		არსებული ქვა	კუბ.მ.	1.200	3.840							
		კირი ჩაუმქრალი	ტონა	0.098	0.314			625.40	196.13			196.13
		წყალი	კუბ.მ.	0.200	0.640			5.09	3.25			3.25
		ქვიშა	კუბ.მ.	0.500	1.600			44.96	71.93			71.93
2	ЕРиРВ-86 დ-2-1	**გალავნის ჩამოშლილი ნაწილის აღდგენა ფიქალის ქვით მშრალი წყობით**	**კუბ.მ.**		**5.74**							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	34.863	200.114	7.80	1560.89					1560.89
		ფიქალის ქვა	კუბ.მ.	1.030	5.912			188.80	1116.22			1116.22
3	ЕРиРВ-86 8-8-1	**მობათაშება კირის ხსნარით**	**კვ.მ.**		**15.00**							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	1.863	27.950	8.50	237.58					237.58
		ქვიშა	კუბ.მ.	0.035	0.525			44.96	23.60			23.60
		კირი ჩაუმქრალი	ტონა	0.0111	0.1665			625.40	104.13			104.13
		წყალი	კუბ.მ.	0.028	0.420			5.09	2.14			2.14
4	1-118-11	**გრუნტის დატკეპნა**	**კუბ.მ**		**20.000**							

		შრომითი რესურსები	კაც/სთ	0.13	2.680	6.60	17.69					17.69
	კოდი3420	პნევმომტკეპნავი	მ/სთ	0.13	2.600					18.12	47.11	47.11
5	1-74-2	**დრენაჟის მოწყობა D-150 3 ცალი**	**გრძ.მ.**		**4.500**							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	0.129	0.581	6.60	3.83					3.83
		მანქანები	ლარი	0.099	0.443					4.00	1.77	1.77
		მილი D-150	გრძ.მ.	1.055	4.748			10.15	48.18			48.18
6	ЕНиР Е1-19 (მე-3 პუნქტი)	**სამშენებლო მასალების გადაადგილება ხელით 20მ-ის მანძილზე ობიექტამდე**	**ტონა**		**18.07**							
		შრომითი რესურსები 1.5+0.56=	კაც/სთ	2.06	37.218	6.60	245.64					245.64
7	ВЗЕР-88 21-87	**ტერიტორიის გასუფთავება სამშენებლო ნაგვისაგან**	**ტონა**		**17.10**							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	1.850	31.635	6.60	208.79					208.79
8	ВЗЕР-88 1-2	**ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმ. ხელით**	**კუბ.მ.**		**9.500**							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	0.640	6.080	6.60	40.13					40.13
9	სრფ2022-II თ14პ.15	**ნაგვის ტრანსპორტირება 15კმ-ზე**	**ტონა**		**17.100**					7.83	133.89	133.89
		ჯამი					**3199.62**		**1565.58**		**182.78**	**4947.98**
	ВЗЕР-88 მითითებ. დანართი-6	**კოეფიციენტი ხელფასზე და მ/მექ. ექსპლუარაციაზე მაღალმთიან რაიონისთვის ზღვ.დ. 1700-1800მ-მდე კ=1,15**	**15%**				**479.94**				**27.42**	**507.36**
		სატრანსპორტო ხარჯები მასალაზე	**7%**								**109.59**	**109.59**
		ჯამი					**3679.56**		**1565.58**		**319.79**	**5564.93**
		ზედნადები ხარჯები	**10%**				**367.96**		**156.56**		**31.98**	**556.49**
		ჯამი					**4047.5**		**1722.1**		**351.8**	**6121.42**
		გეგმიური მოგება	**8%**				**323.80**		**137.8**		**28.14**	**489.71**
		ჯამი					**4371.3**		**1859.9**		**379.91**	**6611.13**
		გაუთვალისწინებელი ხარჯი 5%										**330.56**
		ჯამი										**6941.69**
		დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სასარგებლოდ შესატნი დაგროვითი პენსიის ფონში ხელფასის 2% ზედნადებისა და მოგების გარეშე	**2%**									**73.59**
		ჯამი										**7015.28**

მესტიის მუნიციპალიტეტი, უშგულის თემის სოფ. ჩაჟაშის მაცხოვრის სახელობის ეკლესია

ეკლესია X საუკუნით თარიღდება. ფიქლით ნაგებ დარბაზულ ნაგებობას გალავანი და უფრო გვიანი პერიოდის ფიქალისვე მინაშენი აქვს. ეკლესიის დარბაზი გეგმაში კვადრატს უახლოვდება და ნახევარწრიული, მოზრდილკონქიანი აფსიდით სრულდება. ტაძრის ინტერიერი XVII საუკუნეშია მოხატული. მოხატულობა შემორჩენილია მინაშენშიც, დარბაზში შესასვლელი კარის ორივე მხარეს. ეკლესია შებათქაშებული ყოფილა, თუმცა ამჟამად შებათქაშება დასავლეთ და ჩრდილოეთ ფასადებზეა შერჩენილი. ჩრდილოეთ ფასადის ზედა ნაწილში ინტერიერის მოხატულობის თანადროული ფრესკის ფრაგმენტებია შემორჩენილი. ეკლესიას შემორჩენილი აქვს ძველი, მასიური ხის კარი, ორივე მხრიდან ლითონის სადა მოჭედილობით.

ფიქალით ნაშენი გალავანი გარს უვლის ეკლესიის ეზოს. მიმდინარე წელს გალავნის ნაწილი ჩამოიშალა და არსებობს მისი კვლავ ჩამოშლის საშიშროება. ამდენად, სასწრაფოდ ჩასატარებელია გაწმენდითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტით გათვალისწინებულია:

- ტაძრის გალავნის გადაწყობა;
- გალავნის ჩამოშლილი ნაწილების აღდგენა, მშრალი წყობით;
- დრენაჟის მოწყობა.

მესტიის მუნიციპალიტეტი უშგულის თემი
სოფ.ჩაჟაში. მაცხოვრიშის ტაძრის გალავნის რეაბილიტაციის ესკიზური პროექტი



არქ.რესტავრატორი		ს.კულუმბეგაშვილი	მესტიის მუნიციპალიტეტი უშგულის თემი	სტადია	ფურცელი	ფურც-ები.
					1	4
			კოშკის რეაბილიტაციის ესკიზური პროექტი	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო		
				ქ.თბილისი 2022წ		

მესტიის მუნიციპალიტეტი უშგულის თემი
სოფ.ჩაჟაში. მაცხოვრიშის ტაძრის გალავნის რეაბილიტაციის ესკიზური პროექტი

არქ.რესტავრატორი		ს.კულუმბეგაშვილი	მესტიის მუნიციპალიტეტი უშგულის თემი	სტადია	ფურცელი	ფურც-ები.
					2	4
			კოშკის რეაბილიტაციის ესკიზური პროექტი	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო		
				ქ.თბილისი 2022წ		

მესტიის მუნიციპალიტეტი უშგულის თემი
სოფ.ჩაჟაში. მაცხოვრიშის ტაძრის გალავნის რეაბილიტაციის ესკიზური პროექტი





პირობითი აღნიშვნები:

- — გადაწყობა
- — აღდგენა

არქ.რესტავრატორი		ს.კულუმბეგაშვილი	მესტიის მუნიციპალიტეტი უშგულის თემი	სტადია	ფურცელი	ფურც-ები.
					3	4
			გალავნის რეაბილიტაციის ესკიზური პროექტი	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო		
				ქ.თბილისი 2022წ		

მესტიის მუნიციპალიტეტი უშგულის თემი
სოფ.ჩაჟაში. მაცხოვრიშის ტაძრის გალავნის რეაბილიტაციის ესკიზური პროექტი



	მასალათა ჩამონათვალი	გან.	სიგრძე	რაოდ.	მოც.
1	ფიქალის ქვა	$მ^3$.			$5.74მ^3$
2	გალავნის გადაწყობა	$მ^3$.			$3.2მ^3$
3	კირით შელესვა	$მ^2$.			$15.0მ^2$
4	გრუნტის მოტკეპვნა	$მ^2$.			$20მ^2$
5	სადრენაჟე მილი D-110	მ.	150სმ	3ც	

პირობითი აღნიშვნები:

— არსებული

— აღდგენილი

არქ.რესტავრატორი		ს.კულუმბეგაშვილი	მესტიის მუნიციპალიტეტი უშგულის თემი	სტადია	წვრილადი	ფურცლების რაოდ.
					4	4
			გალავნის რეაბილიტაციის ესკიზური პროექტი	საქართველოს კულტურულადი ჯანსაღი ურბანული გარემოს ფონდი, ეროვნული საარქივო	

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი **27 ივლისი, 2022 წელი**

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ვადასტურებ, რომ **სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს** მიერ **მესტიის მუნიციპალიტეტის, უშგულის თემის, სოფელ ჩაჟაში მდებარე, მაცხოვრის ტაძრის გალავნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის** პროცედურაში ხელშეკრულება **#1-170-22 27.07.2022წ.** ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ აზნაურაშვილი

საფუძველი: მოხსენებითი ბარათი #1945/19 20 / ივლისი / 2022 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულება № 2354 18 ივლისი 2022 წ.